ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტში

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ

2018 წლის 01 მაისიდან დღემდე ონის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის შეადგინა 26 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი.

საქართველოს კანონის „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი"-ს 148-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად დაჯარიმდა 21 მოქალაქე.

მუხლი 148. თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობის წესების დარღვევა

4. ბულვარში, პარკში, სკვერში ან პლაჟზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნა - გამოიწვევს წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მესაკუთრის დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით.

საქართველოს კანონის „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი"-ს 148-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად დაჯარიმდა 2 მოქალაქე.

მუხლი 148. თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობის წესების დარღვევა

1. ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების ტერიტორიების კეთილმოწყობის წესების დარღვევა, აგრეთვე ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში სისუფთავისა და წესრიგის უზრუნველყოფის წესების დაუცველობა, საწარმოებისათვის, დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისათვის მიმაგრებული ან/და მიმდებარე ტერიტორიის მოუვლელობა -გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

უკანონო მშენებლობისთვის საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 43-ე მუხლის გ) პუნქტის შესაბამისად დაჯარიმდა 1 ორგანიზაცია.

მუხლი 43. უნებართვო მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან/და დემონტაჟის წარმოება

უნებართვო მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან/და დემონტაჟის წარმოება:
ა) თვითმმართველ ქალაქში, გარდა ამ კოდექსის 44–ე მუხლში აღნიშნული ტერიტორიისა, - გამოიწვევს დაჯარიმებას 3 000 ლარით;
ბ) მუნიციპალიტეტის დასახლებაში - ქალაქში, გარდა ამ კოდექსის 44–ე მუხლში აღნიშნული ტერიტორიისა, გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარით;
გ) მუნიციპალიტეტის დასახლებაში - დაბაში ან სოფელში, გარდა ამ კოდექსის 44–ე მუხლში აღნიშნული ტერიტორიისა, -გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარით.